ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1266424

ნომერი: AR1206748

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 23.05.2014

გაცნობის თარიღი : 23.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ქინძმარაულის II , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ გეთიაშვილი პ/ნ 01011003790
- აწყურის ქუჩა 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 19 დეკემბერს #01/1818 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2008 წლის 26 ივნისს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ისანი–სამგორისრაიონში, ქინძმარაულის მე–2 შესახვევი #8–ში საცხოვრებელი კომპლექსის დასაგეგმარებლად გაიცა #604 ქალაქთმშენებლობითი პირობები #1/19/34/4/21საკადასტრო ერთეულზე, შემდგომ 2008 წლის 19 დეკემბერს #01/1818 ბრძანებით შეთანხმდა საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

დღევანდელი მდგომარეობით AR1206748 24.03.2014წ. განცხადებით განმცხადებელმა თამაზ გეთიაშვილმა

მოითხოვა შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება. გრგ-ში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სექტორ 1-ში შემცირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოცულობა, შესაბამისად მცირდება კ1 და კ2 კოეფიციენტები, სიმაღლის განმსაზღვრელი სხივის შედეგად შენობის სიმაღლე ჯდება მიღებულ პარამეტრებში.

საკითხი განხილული იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #12 27.03.14წ.), რომელზედაც გადაწყდა დადებითად, რის საფუძველზეც 2014 წლის 07 აპრილს გაიცა ქ. თბილისის მერის #760 განკარგულება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესათანხმებლად წარმოდგენილი ვარიანტის შესაბამისად;

დამკვეთი: თამაზ გეთიაშვილი
საპროექტო ორგანიზაცია: შპს "სტუდიო ოლიმპი"
ავტორი: ლევან აბდალაძე (თანაავტორები – ვასილ რევიშვილი, რუსუდან გერსამია);
საფუძველი: საკადასტრო რუკა: #01.19.34.004.021;
- ქალაქთმშენებლობითი პირობები #604 (26.06.08წ.)
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ბრძანება #01/1818 (19.12.2008) შეთანხმების შესახებ.
- „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომის ოქმი #12 27.03.2014წ.
- ქ. თბილისის მერის განკარგულება #760 (07.04.2014წ.)

<u>კორექტირებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:</u>
ტერიტორიის ფართობი ---------- 7753.0 მ2
განაშენიანების ფართობი ----------2382.2 მ2
განაშენიანების ინტენსივობის ფართობი ----------16371.9 მ2
საშუალო კ1 მთელი საპროექტოტერიტორიისთვის: ----------0.3
საშუალო კ2 მთელი საპროექტოტერიტორიისთვის: ----------2.1

მათ შორის:
სექტორი – 1
ტერიტორიის ფართობი ---------- 3610.0 კვ.მ
განაშენიანების ფართობი: ---------- 745.9 კვ.მ
განაშენიანების ინტენსივობის ფართობი:---------- 5616.6 კვ.მ
საშუალო კ1 საპროექტო ტერიტორიისთვის: ---------- 0.2
საშუალო კ2 საპროექტო ტერიტორიისთვის: ---------- 1.6

სექტორი – 2
ტერიტორიის ფართობი ---------- 1843.0 კვ.მ
განაშენიანების ფართობი: ---------- 665.0 კვ.მ
განაშენიანების ინტენსივობის ფართობი:---------- 4786.6 კვ.მ
საშუალო კ1 საპროექტო ტერიტორიისთვის: ---------- 0.36 (0.3)
საშუალო კ2 საპროექტო ტერიტორიისთვის: ---------- 2.6

სექტორი – 3
ტერიტორიისფართობი ---------- 2300.0 კვ.მ
განაშენიანებისფართობი: ---------- 971.3 კვ.მ
განაშენიანებისინტენსივობისფართობი:---------- 5968.7 კვ.მ
საშუალო კ1 საპროექტო ტერიტორიისთვის: ---------- 0.42 (0.4)
საშუალო კ2 საპროექტო ტერიტორიისთვის: ---------- 2.6

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და ქალაქ თბილისის 2009 წლის 27 მარტის # 4-13 გადაწყვეტილების მე-3 თავის თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს თამაზ გეთიაშვილის 2014 წლის 24 მარტის #AR1206748 განცხადება;
2. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ქინძმარაულის მე–2 შესახვევი #8–ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
3. ტერიტორიის სამშენებლო განვითარება მოხდეს კორექტირებული გრგ–ს პროექტის შესაბამისად;
4. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გამიჯვნის სქემის შესაბამისად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ერთეულები;
5. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ტოპოგრაფიული გეგმები მ1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით)(ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ);
6. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას საინჟნრო კომუნიკაციებთან დაცული იქნეს ნორმები და წარმოდგენილი იქნეს ცნობები/თანხმობები შესაბამისი სამსახურიდან;
7. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს დენდროლოგიური სქემა;
8. ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;
9. საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება შეზღუდვა (ელექტრო ჯიხურთან მისასვლელი გზა–მიწის ნაკვეთი ფართობით 530 კვ.მ –დაიტვირთოს სერვიტუტით) შესაბამისად დაცული ან ამოღებული უნდა იქნეს აღნიშნული შეზღუდვა;
10. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს #604 (26.06.08) ქალაქთმშენებლობით პირობებთან, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #01/1818 19.12.2008წ. ბრძანებასთან ერთად.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.